

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გადამწერის შეცდომიდან ახალ ტექსტებამდე:
შეიძლება თუ არა შეიცვალოს
(ნმინდა) წერილი

თეზისები

**From Scribal Error to Rewriting:
How (Sacred) Texts May and May Not Be Changed**

Abstracts



რედაქტორები:

ანა ხარანაული
ნათა მიროტაძე

Editors:

Anna Kharanauli
Natia Mirotadze

გარეკანის დიზაინერი **ქიტო ხარანაული**

Cover designer

Kito Kharanauli

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

სარჩევი / CONTENTS

ანა ხარანაული

მოსაგონარი: უდო ქვასტი 7

Anna Kharanauli

In Memoiam: Udo Quast 12

ნათია დუნდუა

რა შეიძლება გვითხრას ტობის წიგნის

ქართულმა ვერსიამ LXX^{III}-ის შესახებ 16

ანელი ემელეუსი

გადამუშავებულია თუ არა

დავითისა და გოლიათის ამბავი? 17

ს. პეტერ კოვი

ესთერის, ივდიოთისა და ტობის სომხურ

ვერსიათა შრეები და მათვის

დამახასიათებელი თარგმანის ტექნიკა 18

კატია კუიანპეე

კამათს მორგებული: როგორ და რატომ ცვლის პავლე

მოციქული წმინდა წერილს ციტირებისას 20

დრიუ ლონგეიქორი

გენეალოგიური და ლიტერატურული კავშირები:

წინაპირობა ტექსტის ისტორიის აღსანერად 21

სარიანა მეტსო

საგამორცემლო მიდგომები ლეგალური

მასალის გამოყენებისას სამარიტულ

და ყუმრანის ტრადიციებში 23

ნათია მიროტაძე

ესთერის წიგნის ძველი ქართული

ვერსია – ყველაფერი ერთში 24

მაგდა მჭედლიძე

თარგმანი, პარაფრაზი თუ მეტაფრაზი?

ექვთიმე ათონელის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის

ტექსტის ქართულად გადმოღებისათვის	26
ჟან-მარი ოვერ	
ტოპის წიგნის ნარევი ვერსია ბერძნულ საბურველში	27
ანდრესპიკერ ოტერო	
შემოქმედებითი ფილოლოგია და გლოსები.	
მეფეთა წიგნების მეორწული ვერსიები და	
ლექსიკური აკუმლაცია ან მუტაცია	28
ამნერის როსელი	
გალენი – ტექსტოლოგი	30
კრისტიან სეპენენი	
პირველი მეფეთას ებრაული ტექსტი	33
ემანუელ ტოვი	
თარგმანებისა და ებრაული ტექსტების	
რევიზირება მასორეტული ტექსტის მიხედვით	34
ხულიო ტრებოლე ბარრერა	
მსაჯულთა და მეფეთა წიგნების გვიანდელი	
ფორმები ბერძნულ-ანტიოქიურ და ძველ	
ლათინურ ტექსტუალურ ტრადიციაში	35
იუჯინ ულრიხი	
ეროვნული ლიტერატურიდან	
ბიბლიამდე და ამის შემდეგ	36
კიარა ფარაჯანა დი სარცანა	
ტექსტის გადამუშავების ტექნიკა	
აპოფთეგმატურ კრებულებში	37
ანა ხარანაული	
ბიბლიის ქართული ხელნაწერები – ტექსტუალური	
მრავალფეროვნება ერთი შეხედვით	38
პეტერ ჯენტრი	
მასადას ფსალმუნთა ფრაგმენტები	
და გადამუშავებული ფსალმუნები ყუმრანიდან	39
Anneli Aejelaeus	
Rewriting David and Goliath?	40
Jean-MarieAuwvers	

The Mixed Version of the Book of Tobias in its Greek Clothing	41
S. Peter Cowe	
The Strata of the Armenian Versions of Esther, Judith, and Tobit and their Distinctive Translation Technique	42
Natia Dundua	
What may the Georgian Translation of the Book of Tobit Tell about the LXX ^{III}	44
Chiara Faraggiana di Sarzanna	
Techniques of Rewriting in the Collections of Apophthegmata Patrum	45
Peter Gentry	
The Masada Psalms Fragments and the Rewritten Psalters of Qumran	46
Anna Kharanauli	
Georgian Manuscripts of the Bible – Textual Variety at One Glance	47
Katja Kujanpää	
Adjusted to the Argument: Paul’s Techniques and Intentions in Modifying the Wording of Scriptural Quotations	48
Drew Longacre	
Genealogical and Literary Relationships: A Proposal for the Description of Textual History	49
Sarianna Metso	
Editorial Attitudes Toward Legal Material in Samaritan and Qumran Traditions	50
Natia Mirotadze	
Old Georgian Version of the Book of Esther – All in One	51
Magda Mtchedlidzé	
Traduction, Paraphrase ou Métaphrase ? À propos de la transmission des textes	

de Grégoire de Nazianze par Euthyme l’Athonite	52
Andrés Piquer Otero	
Creative Philology and Glosses.	
Secondary Versions of Kingdoms and Lexical	
Accumulation or Mutation	53
Amneris Roselli	
Galen's Practice of Textual Criticism	54
Christian Seppänen	
The Hebrew Text of 1 Samuel	56
Emanuel Tov	
Revising Translations and	
Hebrew texts according to MT	57
Julio Trebolle Barrera	
Late Developments in the Textual Tradition	
of the Greek Antiochean and Old Latin Texts	
of the Books of Judges and Kings	58
Eugene Ulrich	
From National Literature to Scripture and Beyond	59

მოსაგონარი - უდო ქვასტი (28.4.1939-30.12.2005)

„Septuaginta-Unternehmen“ – გეტინგენის „სეპტუაგინტა-უნთერნებენი“ – ინსტიტუტი, სადაც გამოიცემა ძველი აღ-თქმის ბერძნული თარგმანი – ათწლეულების მანძილზე სა-ნეტარო ადგილი იყო ყველასთვის, ვინც აქ სამუშაოდ ჩამო-დიოდა: ეს იყო შენი, საკუთარი, მშობლიური სახლი. აქ დაგ-ხვდებოდათ ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება: სამზარე-ულო, წიგნები და ადამიანები, ვინც გეიმედებოდნენ და გე-ნატრებოდნენ – უდო ქვასტი და დეტლევ ფრენკელი.

ათი წლის წინ, 2005 წელს, ავადმყოფობასთან ერთნლი-ანი ბრძოლის შემდეგ, უდო ქვასტი გარდაიცვალა. მთელი ამ წლის მანძილზე ის მღლვარებით ელოდა რუთის წიგნის კრი-ტიკული გამოცემის გამოსვლას – ის, ვის ხელშიც გაიარა სეპტუაგინტას ტომეულების გამოცემებმა, ვინც თავად იყო ამ გამოცემების საუკეთესო და ყველაზე გამოცდილი ექ-სპერტი, მონაფის მღლვარებით ელოდა სამეცნიერო საზო-გადოების რეაქციას საკუთარ წიგნზე; ამას მალევე უნდა მოჰყოლოდა ისუ ნავეც: მთელი კონცეფცია, ტექსტის ის-ტორია უკვე კარგად ჰონდა წარმოდგენილი, მსაჯულთა წიგნების დაზვერვითი სამუშაოებიც უკვე ჩატარებული ჰქონდა... ყველაფერ ამას კი წინ დიდი სამზადისი უძღვოდა – დიდი, პროფესიული სრულყოფის გზა. ეს გზა, უპირველეს ყოვლისა, მოსეს ხუთიწიგნეულის გამოცემა იყო, რასაც ვა-მოსვლათას და მეორე სკულთას სატიტულო გვერდიც ცხადყოფს, რომელზედაც კრიტიკული ტექსტის გამომცემ-ლის, ჯონ უილიამ ვევერსის სახელს მოსდევს – „adiuvante Udo Quast“ – „უდო ქვასტის თანამონანილეობით“. ამ სამუ-

შაოს ნაყოფია სტატია „Der Recensionelle Charakter einiger Wortvarianten im Buche Numeri (in Studien zur Septuaginta)“ – „რიცხვთა წიგნის ზოგიერთი ლექსიკური ვარიანტის რეცენზიული ხასიათის შესახებ“ – არაჩვეულებრივი ტექსტოლოგიური ალლოს და სანიმუშო აკრიბის მაგალითი.

ცალკე თემაა უდო ქვასტის სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება სამსახურისადმი – „სეპტუაგინტა-უნთერნემენისადმი“. დამოკიდებულება, რომელიც, სამწუხაროდ, ნელ-ნელა და ჩვენს თვალწინ იყარგება ყველგან და ამიტომაც მინდა ამ თემაზე საგანგებოდ შევჩერდე. უდო აქ ოცდასამი წლის სტუდენტი მოვიდა პირველად და მას მერე ინსტიტუტი იყო მისი სახლი, მისი ცხოვრება. არაფერი იყო ინსტიტუტში ისეთი, მას რომ არ ეხებოდა: ერთხელ, დილით ადრე მოსულს, სამსახურში უდო დამიხვდა. უკვე პენსიაზე იყო, ახალი ნაოპერაციები ქიმიოთერაპიის კურსს გადიოდა. საშინელ ყინვაში ინსტუტუტში გათბობის შესამონმებლად მოსულიყო – რამე ხომ არ გაფუჭდაო...“

45 წელი მუშაობდა უდო „სეპტუაგინტა-უნთერნემენში“. რა იყო ეს წლები მისთვის? სამუშაოს ორგანიზება: დამხმარე პერსონალის, ანუ თეოლოგის ფაკულტეტის სტუდენტების (ე.ი. სტუდენტების, რომლებსაც ხელნაწერის კითხვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა), განვრთნა, მათი გამოცდილების შესაბამისად ხელნაწერების განაწილება (ეს კი ათეულობით ხელნაწერის სპეციფიკის ცოდნას გულისხმობდა), ყოველწლიური მზადყოფნა იმისათვის, რომ საკუთარი სამუშაოსათვის თავი დაეწებებინა და შეკითხვებისთვის ეპასუხა... შემდეგ – გადაწერილი ტექსტების ხელნაწერებთან შედარება, მასალის დაჯგუფება, რათა გამომცემელს ხელნაწერზე ავთენტური აზრი შექმნოდა და იკითხვისების შეფასება გაადვლებოდა... საქმე ამის შემდეგაც არ თავდებოდა: მას მერეც, როცა გამომცემელს მთელი მასალა ხელში ჰქონდა, უდო ყოველთვის მზად იყო საეჭვო ადგილები დაეზუსტებინა, კითხვებზე ეპასუხა, ყველაფერი

კიდევ ერთხელ გადაემოწმებინა და მასალა შეევსო... როცა წიგნი უკვე გამომცემლობაში იყო, უდო ელოდა ამონაბეჭდებს, კითხულობდა კორექტურას, კიდევ და კიდევ ამოწმებდა, რამდენად იყო ასახული სეპტუაგინტას გამოცემის ფაქტიზი ნიუანსები... მე არ ვიცი, როგორ შენდება ატომური ელექტროსადგურები, მაგრამ, არა მგონია, სეპტუაგინტას გამოცემის პროფესიონალიზმსა და აკრიბიას რაიმე შეეძრებოდეს. სეპტუაგინტას გმოცემის მთელი სამუშაოს მიმდინარეობა უდი ქვასტს დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის სტატიაში „საგამომცემლო საქმიანობის შესავალი“ (კრებულში *Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen*, 2000), მაგრამ მაინც რთული წარმოსადგენია, რეალურად რა შრომატევადი, რა სკრუპულობური სამუშაო იმაღება ამ ყველაფრის მიღმა.

სრულიად უნიკალური სანახაობა იყო უდო ქვასტისა და დეტლევ ფრენკელის ერთობლივი მუშაობა, ის, თუ რა სისწრაფით კითხულობდა დეტლევი რვეულში შეტანილ ბერძნულ ტექსტს და როგორ მისდევდა ამ წაკითხულს უდო: მიკროფილმების აპარატში თავშერგული, თვალს აყოლებდა ხელნაწერს და უცებ, შეცბუნებული წამოძახილით – „Moment!“ – ამუხრუჭებდა დეტლევს იკითხვისის შესასწორებლად. როგორ შეეძლო ბერძნული ხელნაწერების ასეთი სწრაფი კითხვა! ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თვითონ გადამწერები კარნახობდნენო – უდო ხომ მათ ყველას პირადად იცნობდა, კარგად იცნობდა: იცოდა მათი საიდუმლოებები, იცოდა ვინ ვისგან იწერდა, ვინ რა შეცდომას უშვებდა, ვინ ზარმაცი იყო და ვინ ბეჯითი, ვის როგორ ეჩქარებოდა... და საერთოდ, ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ ჩნდებიან ტექსტის განსხვავებული წაკითხვები...

ბევრი შემთხვევა მახსენდება უდოსა და ხელნაწერების განსაკუთრებული ურთიერთკავშირის დამადასტურებლად: ერთხელ, ლაიფციგში ვიყავით, სადაც პალიმფსესტების

გამშიფრავი აპარატის – ახალი ტექნიკური საოცრების – მუშაობა უნდა შეემოწმებინათ. აპარატი მაინცდამაინც ვერ გამოდგა დაზიანებული გვერდის ქვედა შრის წასაკითხად. უდომ მოიხსნა თავისი სქელი სათვალე, ცხვირი დაადო ხელნაწერს და წაიკითხა – ეს არ იყო მისთვის წაცნობი ბიბლია და, არც მისი წაცნობი გადამწერი...

ხშირად მისავყედურია უდოსთვის, რომ დროს აცდენდა და თავის გამოცემაზე არ მუშაობდა, რომ ამდენი იცოდა და არ წერდა. არასოდეს არ უპასუხია – „მაშინ დამანებეთ თავი, შენცა და სხვამაც, ერთი საათი მაინც დამაცადეთ წყნარად მუშაობაო...“

ვინ იყო უდო ქვასტი ჩვენთვის ყველასთვის – დიდების-თვის და პატარებისთვის, ვინც გეტინგენში ჩამოფრენილნი, ქერის ორმოში ჩაცვენილი ჩიტებივით დავნაყრდებოდით და ასე ვბრუნდებოდით სახლში? უდო ის იყო, ვინც ბაქანზე გველოდებოდა, როცა მატარებლიდან ჩამოვდიოდით, ვინც ჩვენს სამუშაო ოთახს ამზადებდა და ოთახის ტემპერატურას იმის მიხედვით აყენებდა, ვინ როგორი მცივანა იყო... ის გვახვედრებდა სავსეს მაცივარს; ის იყო, ვინც არასოდეს იყველებოდა „ადამიანურ კონტაქტებს“ გაყინულ უცხოეთში და უპასუხოდ არ ტოვებდა შეკითხვას, ოღონდ აუცილებლად შესავალს წაუმძღვარებდა – „ადამიანო, აბა მე რა ვიციო...“ უდო იყო, ვინც საკუთარ, უმდიდრეს გამოცდილებას უშურველად გვიზიარებდა, არ გვიმალავდა თავის მეცნიერულ იდეებს... ის ეძებდა წიგნებში ჩვენს მოსაძებნს, ის კითხულობდა ჩვენს კორექტურას უფრო გულდასმით, ვიდრე ჩვენ თვითონ, ის გვახვედრებდა მაგიდაზე მასალას, გაკვრით რომ მოვთხოვეთ... ის იდგა ჩვენზე ადრე მატარებლის ბაქანზე, რომ მატარებელი არ აგვრეოდა – ხელში პიტიანი შოკოლადი ეჭირა.

უდო ქვასტი იყო მაგალითი იმისა, რომ შესაძლებელია ემსახურო მეცნიერებას ისე, რომ არ გქონდეს გამოქვეყნებული შრომების გრძელი ნუსხა, ის იყო მაგალითი კოლეგია-

ლობისა, იმისა, თუ რა სიმაღლეს შეიძლება მიაღწოს ადამიანმა თავის საქმეში, მაგალითი იმისა, თუ რა ადვილია, იყო თავმდაბალი, როცა ყველა ადამიანური ღირსებით ხარ შემკული... იქნებ უდო ერთ-ერთი უკანასკნელი იყო იმათგან, ვინც მდიდრად გასცემდა და უკან არაფერს ითხოვდა, ვინც სანაცვლოდ არაფერს იღებდა, გარდა სიყვარულისა, უბრალო, ადამიანური სიყვარულისა...

უდო ქვასტმა და დეტლევ ფრენკელმა ათწლეულების მანძილზე დაიცვეს გეტინგენის „სეპტუაგინტა-უნთერნემენის“ სამარკო ნიშანი, უზრუნველყველების ტექსტის კრიტიკისა და ტექსტის გამოცემის უმაღლესი სტანდარტი და უშურველად უწილადეს თავისი სიმდიდრე ყველას, ვინც გეტინგენში ჩამოდიოდა იმედით, რომ მეგობრებისა და სწავლულების ტრაპეზის გაიზიარებდა.

ანა ხარანაული

In Memoriam - Udo Quast

(28.4.1939-30.12.2005)

Jahrzehntelang war das Septuaginta-Unternehmen ein wunderschöner Ort für die Leute, die von nah oder fern nach Göttingen kamen, um dort zu arbeiten. Das war wie ein Zuhause für sie. Im Lagarde-Haus hatte man alles, was man brauchte: eine Küche, Bücher und Menschen, auf die man sich verlassen konnte – Udo Quast und Detlef Fraenkel.

Ende 2005, nach dem einjährigen Kampf ums Leben ist Udo Quast verstorben. Das ganze Jahr hatte er gehofft, das Erscheinen des Buches *Ruth* in der Reihe der Göttinger Septuaginta noch erleben zu können, die bereits halbfertige *Josua*-Edition noch zu beenden; auch waren erste Vorarbeiten zu *Judices* schon geleistet... Das wäre sein Lebenswerk gewesen. Bis dahin hatte er eine riesige Erfahrung gesammelt im Bereich der Textkritik und Textedition, vor allem im Pentateuch, worauf nicht nur seine gründlichen Veröffentlichungen – z.B. *Der Recensionelle Charakter einiger Wortvarianten im Buche Numeri* (in *Studien zur Septuaginta*) – stehen, sondern auch der Hinweis *adiuvante Udo Quast*, der auf dem Titelblatt der Ausgaben von *Exodus* und *Deuteronomium* dem Herausgebernamen, i.e. John W. Wevers, folgt.

Dank seiner Kenntnisse der alten Sprachen und seines breiten Überblicks über die Septuaginta-Textüberlieferung, sei es die griechische, sei es die der Tochterübersetzungen, galt Udo Quast als ein Experte der Septuaginta-Textgeschichte. Deshalb waren seine Ratschläge so wichtig auch für die Autoren der von ihm herausgegebener Bände (*Studien zur Septuaginta – Robert Hanhart zu Ehren*

[Göttingen 1990] und *Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen* [Göttingen 2000]).

Etwas ganz besonderes war seine Beziehung zu seiner Arbeitsstelle – Septuaginta-Unternehmen. Eine Beziehung, welche leider, im Allgemeinen verloren geht. Deshalb möchte ich mehr darüber zu sagen. Einmal sagte mir Udo, etwas verärgert: «Ich war im Institut, als du noch nicht geboren warst». In der Tat, als drei und zwanzigjähriger Student hat er das Institut betreten, das Septuaginta-Unternehmen war sein Institut, sein Heim, seine Verwirklichung. Und es gab da nichts, was ihn nicht anging: einmal, frühen Morgens hab ich ihn im Institut erwischt (er war schon im Ruhestand und, außerdem, in der chemiotherapeutischen Behandlung) – in der furchtbaren Kälte kam er vom Arzt ins Lagarde-Haus und wollte überprüfen, ob das Heizungssystem in der extremen Kälte funktioniert.

Was waren seine 45 Jahre im Septuaginta-Unternehmen? Die Organisation der Arbeit: die Hilfskräfte (also die Theologie-Studenter, die keine Paläographiekenntnisse hatten) zu schulen, ihnen je nach der Erfahrung Handschriften zu verteilen (was hervorragende Kenntnisse der Spezifika der Handschriften verlangte), bereit zu sein zu jeder Zeit und mehrmals am Tag von dem Arbeitstisch aufzustehen um den Kollatoren zu Hilfe zu kommen, nach der Kollation der Handschriften (hunderte von Handschriften), die Kollationen anhand der Handschriften zu revidieren und die Eintragungen so zu ordnen, dass der Herausgeber ein genaues Bild von jeder Handschrift erhielt und damit den Charakter der Lesarten leichter einschätzen konnte... Wenn das ganze Material dann beim Herausgeber war, stand er immer für Rückfragen zur Verfügung, um das Material zu vervollständigen und zu überprüfen...

Nachher dann, wenn das Buch schon im Verlag war – auf die Druckfahnen zu warten, Korrekturen zu lesen, noch mal zu überprüfen um die feinsten Nuancen der Septuaginta-Edition zu sichern...

Den ganzen Arbeitsablauf und Arbeitsverteilung hat Udo Quast selber in seiner *Einführung in die Editionsarbeit* ausführlich geschildert (in *Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen*, 2000), es ist aber doch schwer vorzustellen, was für eine mühsame Arbeit hinter der Beschreibung steht.

Es war eine einmalige Erfahrung, zu sehen, wie Udo Quast und Detlef Fraenkel die Handschriften revidierten – mit welcher Geschwindigkeit Detlef den griechischen Text las und wie Udo, ganz im Lesegerät eingedrungen ihn folgte und plötzlich mit dem Wort – «Moment!» – Detlef aufhielt um eine Lesung zu korrigieren. Wie konnte er die griechischen Handschriften so schnell und so genau lesen! Ich hatte den Eindruck, dass die Abschreiber selber ihm ins Ohr flüsterten, Udo kannte doch sie persönlich, er kannte doch deren Geheimnisse – wer von wem abschrieb, wer welche Fehler machte, wer faul war und wer fleißig... und im Allgemeinen, er war der beste Kenner davon, wie die Textvarianten entstehen...

Mehrere Fälle, die seine besondere Beziehung zu den alten Handschriften darstellen, kommen mir in Erinnerung: einmal sind wir nach Leipzig gefahren um eine Wunder-Digitalisierungsmaschine anzusehen. Die Maschine war nicht so ganz fähig die untere Schicht des Palimpsestes sichtbar zu machen. Udo nahm seine dicke Brille ab und las mühelos die Handschrift. Und das war kein Bibeltext, keine bekannte Hand...

Ich hab ihm mehrmals vorgeworfen, dass er nicht an seiner eigenen Edition und Textgeschichte arbeitete, dass er soviel wusste und nicht schrieb. Er hat mir nie geantwortet «Dann lasst mich doch alle in Ruhe, gebt mir die Möglichkeit um mindestens eine Stunde ununterbrochen zu arbeiten...».

Wer war Udo Quast für uns alle, für die kleinen und großen, die nach Göttingen kamen, die, wie die Mäuse in den Käse ein tauchten und gesättigt wieder nach Hause fuhren? Er war es, der, der am Bahnsteig stand, als wir aus dem Zug stiegen, er war es, der un-

sere Arbeitszimmer vorbereitete und je nach der Person die Heizung anstellte, er machte den Kühlschrank voll, er war jeder Zeit bereit für «menschliche Kontakte» und für die Beantwortung der Fragen mit der Einführung – «das weiss ich doch nicht», er teilte seine einmalige Erfahrung reichlich mit, ohne eigene wissenschaftliche Ideen zu verheimlichen... Er hat für uns in den Büchern nachgeschlagen, in denen wir selber nachschlagen mussten, er hat unsere Korrekturen viel aufmerksamer und besser gelesen als wir selber, er hat uns alle Materialien bei der ersten Bitte auf dem Tisch gelegt... Er war es, der viel früher, als wir selbst, auf dem Bahnsteig mit der Packung von Minzenschokoladen stand, um sich zu vergewissern, dass wir in den richtigen Zug einstiegen.

Udo Quast hat uns bewiesen, dass man der Wissenschaft viel nutzen kann, auch ohne lange Liste von Veröffentlichungen zu haben, er hat gezeigt, was Kollegialität heißt, welche Höhe der Mensch in seinem Beruf erreichen kann und wie leicht es ist, bescheiden zu sein, wenn man alle menschlichen Qualitäten schon hat. Vielleicht war Udo Quast einer der letzten von denen, die reichlich gaben und nichts zurück verlangten, die nichts zurückbekamen außer Liebe, eine einfache, menschliche Liebe...

Udo Quast und Detlef Fraenkel haben die Markenzeichen der Göttinger Septuaginta innerhalb von den letzten Jahrzehnten abgesichert, sie haben die hohe Standarten der Textkritik und Textedition gehalten und es weiter vermittelt an alle, die nach Göttingen kamen, mit der Hoffnung, dass sie im Septuaginta-Unternehmen an einer reichen Trapeza von Freunden und Gelehrten teilnehmen.

Anna Kharanauli

ნათია დუნდუა

გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი

რა შეიძლება გვითხრას ტობის წიგნის ქართულმა ვერსიამ LXX^{III}-ის შესახებ

ტობის წიგნის ძველი ქართული ვერსია ბერძნულის სამ ტექსტუალურ ტიპთან ტექსტის სხვადასხვა ნაწილში სხვა-დასხვაგვარ მიმართებას ავლენს. ტექსტის იმ ნაწილში (6:9-12:22), სადაც LXX^{III} არის შემონახული ბერძნულ და ლათი-ნურ წყაროებში, ქართული ცალსახად მიჰყვება ამ ტექსტუ-ალურ ტიპს. იქ, სადაც LXX^{III} არ არის მოღწეული, ჭრელი სუ-რათი გვაქვს: LXX^I და LXX^{II} ტექსტუალური ტიპების იკითხვი-სები ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ რთულია გა-დაჭრით ვთქვათ, რომელს მისდევს ქართული. ამავე დროს, გვაქვს ქართულის კითხვასხვაობები, რომელთაც წყარო არ ეძებნებათ, თუმცა ხასიათით არ ჰგვანან თარგმანის ტექნი-კით ან ქართული ენის ბუნებით გამოწვეულ ცვლილებებს და, სავარაუდოდ, ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარე-ობდნენ. რადგან LXX^{III}, ტექსტის იმ ნაწილში, სადაც შემორ-ჩენილია, ასევე მერყეობს LXX^I და LXX^{II}-ს შორის და აქვს სა-კუთარი კითხვასხვაობებიც, ვფიქრობთ, უნდა არსებულიყო LXX^{III} ტექსტუალური ტიპის სრული ვერსია, საიდანაც ტობი ითარგმნა ქართულად.

როგორ უნდა ყოფილიყო ეს სრული LXX^{III}? არის თუ არა ის LXX^{II}-ს რეცენზია, როგორც ამას რ. ჰანჰარტი ვარაუ-დობს? რამდენად ასახავს ქართული LXX^{III}-ს იმ ნაწილებში, სადაც არ არის ეს ტიპი შემონახული? მოხსენებაში შევეც-დებით ამ კითხვებს გავცეთ პასუხი.

ანელი ემელეუსი

ჰელსინკის უნივერსიტეტი

**გადამუშავებულია თუ არა
დავითისა და გოლიათის ამბავი?**

კარგად ცნობილი დისკუსია დავითისა და გოლიათის ამბის განსხვავებული ვერსიების შესახებ ძირითადად იმ საკითხს შეეხება, თუ რომელი ტექსტია თავდაპირველი –სეპტემბრის განვითარებას მოკლე თუ მასორეტული ტექსტის ვრცელი ვერსია? მოსაზრება, რომ უპირატესობა მოკლე ტექსტს უნდა მიენიჭოს, სულ უფრო და უფრო იმკვიდრებს ადგილს. ეს შეხედულება გახლავთ ჩემი მოხსენების ამოსავალი წერტილიც. საკითხი, რომლის შესახებაც ვიმსჯელებთ, შემდეგია: რა იყო მასორეტული ვერსიის გავრცობის საფუძველი? მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი იყო იმ ალტერნატიული ამბის ნაწილი, რომელიც პირველი მეფეთას პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა (მაგ., ლუსტი). განსხვავებული თეორია წარმოადგინეს A.G. Auld-მა და C.Y.S. Ho-მ. მათი თქმით, ვრცელი ვარიანტი წარმოშვა საულის შესახებ არსებული თხრობების საფუძველზე, რათა უკეთ წარმოჩენილიყო დავითის დიდებულება და ბრწყინვალება. როგორც ალუდი და ჰო ვარაუდობენ, ალტერნატიულ ამბავს არასოდეს უარსებია და მათ მეც ვეთანხმები. თუმცა შევეცდები უფრო დამაჯერებლად ავხსნა მოტივები და რედაქტორთა ტექნიკა, რომელთა დანახვაც გავრცობილ ვერსიაშია შესაძლებელი.

ს. პეტერ კოვი

კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს-ანჯელესი

ესთერის, ივლითისა და ტობის სომხურ ვერსიათა შრეები და მათთვის დამახასიათებელი თარგმანის ტექნიკა

ბიბლიის სომხური თარგმანი განხილულ უნდა იქნას ახლო აღმოსავლეთის ფონზე, როგორც მისი წარმოშობის გათვალისწინებით ძველ ისრაელში, ისე, წმინდა წერილის კითხვისა და ინტერპრეტირების ტრადიციის გათვალისწინებით სამყაროს ამ წარმოშობიდან მოყოლებული და დახასიათებული უნდა იქნას ყველა იმ ისტორიული, ლიტერატურული და თეოლოგიური კონტექსტის მეშვეობით, რომელშიც წმინდა წერილის ეს თარგმანი წარმოიქმნა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შევეცდებით მოხსენებაში ვაჩვენოთ, შესაძლებელია თუ არა და თუ კი – რამდენად, ზემოაღნიშნული წიგნების სომხურ ვერსიათა ორი ადრეული ფენის რეკონსტრუირება, რომელთაც ასახელებს ჰაგიოგრაფი კორიუნი და რომლებიც ტექსტუალური კრიტიკის მეთოდებით დადგენილია ბიბლიის სხვა წიგნებისათვის. პირველი (Arm1) წარმოადგენს მე-5 საუკუნის დასაწყისში შესრულებულ თავდაპირველ თარგმანს, ხოლო მეორე (Arm2) გახლავთ ეფესოს კრების შემდეგ (431) პირველი თარგმანის რევიზირებით მიღებული ტექსტი.

დასახული მიზნის მისაღწევად მივმართეთ სომხური წყაროს – ზორაბისეული 1805 წლის გამოცემის – გამოწვლილვით კოლაციონირებას Göttingen Septuaginta-სთან და

Leiden Pešitta-ს სირიულ ვერსიასთან, რადგანაც ბიბლიის სხვა წიგნებისათვის არაერთგზის წარმოჩნდა პეშიტას მნიშვნელობა ტექსტუალური თუ ეგზეგეტიკური თვალსაზრისით.

მას შემდეგ რაც გამოვყოფთ სომხური ვერსიის შრეებს და წარმომავლობასაც დავადგენთ, გადავალთ თარგმანის ტექნიკის საკითხებზეც, რათა ვუჩვენოთ თარგმნის ორი განსხვავებული მეთოდი, რომლებიც ამ შრეებში ჩნდება. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ მაგალითებსაც. ვაჩვენებთ, რომ მთარგმნელთა პრიორიტეტი ტექსტის შინაარსია, რომელიც დაკავშირებულია რიტორიკულ და თეოლოგიურ საკითხებთანაც, რეცეზიუნტთათვის კი პრიორიტეტულად სომხურ ვერსიაში ბერძნული წყაროს მორფოლოგიური და სინტაქსური ქსოვილის გადმოტანა იქცევა, მაშინაც კი, როცა მათ უკვე დამკვიდრებული სომხური იდიომის ჩანაცვლება უხდებათ.

კატია კუიანპეე

ჰელსინჯის უნივერსიტეტი

კამათს მორგებული: როგორ და რატომ ცვლის პავლე მოციქული წმინდა წერილს ციტირებისას

პავლეს ეპისტოლები სეპტუაგინტას ადრეული მაგრამ არასანდო წყაროა. მოხსენებაში ვაჩვენებთ, რომ როდესაც პავლე მოციქული ციტირებისას წმინდა წერილის ტექსტის მოდიფიცირებას ახდენს, მისი მოტივი უპირველესად რიტორიკული და აპოლოგეტური ფაქტორებია. იგი ისე ცვლის წმინდა წერილის სიტყვიერ ფორმას, რომ მოარგოს ახალ (ქრისტიანულ) კონტექსტს და თავის არგუმენტად აქციოს იგი.

მეფეთა წიგნებიდან და ესაიას წინასწარმეტყველებიდან მოხმობილი მაგალითებით ვაჩვენებ ტექსტის მოდიფიცირების პავლე მოციქულისთვის დამახასიათებელ ტექნიკას, მაგ. იმას, თუ როგორ გამოტოვებს ან ანაცვლებს ზოგიერთ ელემენტს, ცვლის გრამატიკულ ფორმებს ან აერთებს ორ ტექსტს. ვაჩვენებთ იმასაც, თუ როგორ ასახავს ამგვარი ცვლილებები ავტორის განზრახვას, რომელიც ზოგჯერ სტილისტური მოსაზრებებითაა წაკარნახევი, მაგრამ უფრო ხშირად ძირითად არგუმენტან მათი შეთანხმების სურვილითაა განპირობებული. ცხადია, დროდადრო ტექსტის ამგვარი ადაპტაცია მნიშვნელოვან თეოლოგიურ ცვლილებებსაც კი იწვევს.

მოხსენებაში ვაჩვენებთ, რომ პავლე მოციქული და ციტირების მისეული ტექნიკა წმინდა წერილის განზრას შეცვლის კარგი მაგალითია.

**დრიუ ლონგეიქორი
ჰელსინკის უნივერსიტეტი**

**გენეალოგიური და
ლიტერატურული კავშირები:
წინაპირობა ტექსტის ისტორიის აღსანერად**

მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოვიზილავთ ტექსტის ისტორიების რამდენიმე მნიშვნელოვან, მაგრამ ურთიერთსანინააღმდეგო აღწერილობას, შევეცდებით გამოვკვეთოთ გადაკვეთისა და განშტოების წერტილები ისეთი ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული პერსპექტივიდან, როგორებიცაა გენეალოგიური და ლიტერატურული თვალთახედვა. უძველეს ხელნაწერებში დაცული ტექსტები გადაწერილია უფრო ადრინდელი წყაროებიდან. გადაწერის პროცესის აუცილებელი თანმდევია შეცდომები და ზოგჯერ წინასწარგანზრახული ცვლილებებიც. როგორც წესი, ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ხელნაწერები ერთმანეთთან ერთგვარი, დონორ-რეციპიენტის ურთიერთობის მსგავსი, ხაზოვანი წყებებით არიან დაკავშირებული. ეს კავშირები იდეალურად აღინერება გენეალოგიური თვალსაზრისით, როდესაც უკუგდებულია იმ ცვლილებების ლიტერატურული ღირებულება, რომლებიც გადამწერებმა შეიტანეს წყაროს ტექსტში. დონორ-რეციპიენტის კავშირის ამსახველ გენეალოგიურ ჩონჩხს კი შეიძლება ხორცი შევასხათ ამ ცვლილებათა ლიტერატურული ღირებულებისა და წყარო-ტექსტებთან წარმოქმნილი ახალი კომბინაციების გაანალიზებით. ამგვარად შევძლებთ უფრო

ადეკვატური კითხვები დავსვათ ლიტერატურულ ტრადიცია-
ათა საზღვრებისა და ახლადნარმოქმნილი ტექსტების ორი-
გინალურობის შესახებ და ობიექტურად აღვწეროთ ტექ-
სტა დონორიდან რეციპიენტში გადადენის გენიალოგიური
გზა.

სარიანა მეტსო

ტორონტოს უნივერსიტეტი

საგამომცემლო მიდგომები ლეგალური მასალის გამოყენებისას სამარიტულ და ყუმრანის ტრადიციებში

როგორც ბიბლიურ ასევე არაბიბლიურ ტექსტთა მეორე ტაძრისდროინდელი ხელნაწერები შეიცავენ ერთი და იმავე ტექსტთა პარალელურ გამოცემებს, რომლებიც წარმოაჩენენ საგამომცემლო საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებასა და წყაროთა ურთიერთგავლენას. ამ ეპოქაში მოღვაწე გადამწერთა ფილოლოგიური მიდგომების განსაზღვრისას, რომლებითაც ისინი იურიდიული ხასიათის ტექსტების გამოცემისას ხელმძღვანელობდნენ, თავი იჩინა მეტ-ნაკლებად მოულოდნელმა ასპექტებმა.

მოხსენებაში ერთმანეთს შევუპირისპირებთ სამარიტელ გადამწერთა და მეორე ტაძრის პერიოდის სხვა საზოგადოების – ყუმრანის საზოგადოების – გადამწერთა მიდგომებს იურიდიული შინაარსის ტექსტების გამოცემისას ლევიტელთა წიგნის იურიდიული ტრადიციების მაგალითზე.

ნათია მიროტაძე

**თბილისის ოვანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსია – ყველაფერი ერთში

ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიას, რომელიც მე-13–მე-17 საუკუნეების ოთხ ხელნაწერშია წარმოდგენილი, დღეს არსებულ არც ერთ ბერძნულ წყაროში არ ეძებნება ეკვივალენტი. იგი კონტამინირებული, ჰიბრიდული ტექსტია, რომელიც შედგება ბერძნულენოვანი ესთერის წიგნის ყველა ცნობილი ტექსტუალური ფორმისაგან. მათგან ძირითადი სეპტუაგინტას ესთერია, რომელიც შევსებულია აღფა ტექსტიდან და მესამე ტიპის ბერძნული ტექსტიდან მომდინარე სხვადასხვა ზომის (ერთი სიტყვით დაწყებული დიდი შინაარსობრივი ეპიზოდებით დამთავრებული) მონაკვეთებით. ქართულ ვერსიაში არსებულ მესამე ტექსტუალური ტიპიდან მომდინარე მონაკვეთთა ერთ ნაწილს ლათინურში, რომელიც დღემდე ამ ვერსიის ძირითად წყაროდ მიიჩნეოდა, შესატყვისი არ აქვს.

ქართული ვერსია, კუმულაციური ხასიათიდან გამომდინარე, შეიცავს ყველა დიდ შინაარსობრივ ეპიზოდს, რომლებითაც ბერძნული და ლათინური ტექსტუალური ტიპები განსხვავდებიან ებრაულისაგან და ერთმანეთისგანაც. გარდა ამისა, ქართულ ტექსტში გვაქვს არაერთი დუბლეტური სიტყვა, ფრაზა, ეპიზოდი, რომლებიც მაშინ იქმნება, როდესაც აღფა ტექსტიდან თუ მესამე ბერძნული ტექსტიდან შე-

მოსული მასალა სეპტემბერის პარალელურია. ამის გამო ტექსტი მოკლებულია ლოგიკურ მთლიანობას და არც თუ ისე კარგ საკითხავს წარმოადგენს.

ჩვენი მოხსენების მიზანი იმის გარკვევაა, ეს ტექსტი ქართველი მთარგმნელის თარგმანის ტექნიკის ნაყოფია, ქართველი მთარგმნელის ფილოლოგიური საქმიანობის შედეგი თუ იმ ბერძნული დედნის ასახვა, რომელიც დღეს ალარ არსებობს და რომელიც ნაწილობრივ შემონახულია ლათინურში. როგორიც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, ერთი რამ ცხადია: იგი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მუშაობის კვალს ატარებს, თუმცა საეჭვოა, ასეთი ცუდი, საკითხავად გამოუსადეგარი, ტექსტის შექმნა ბერძენი რედაქტორის ანდა ქართველი მთარგმნელის წინასწარდასახული მიზანი ყოფილიყო.

მაგდა მჭედლიძე

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თარგმანი, პარაფრაზი თუ მეტაფრაზი?
ექვთიმე ათონელის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის
ტექსტის ქართულად გადმოღებისათვის**

მოხსენება შეეხება ტექსტის ერთი ენიდან სხვა ენაზე გადმოღების ტიპების განსაზღვრას. საკითხი განიხილება ათონის მთარგმენლობითი-საგანმანათლებლო სკოლის მამამთავრის – ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული გრიგოლ ღვთისმეტყველის ავტორიტეტული ტექსტების ანალიზის საფუძველზე. ექვთიმესათვის დამახასიათებელი თავისებურებები ტექსტის ბერძნულიდან ქართულად გადმოღებისა იმთავითვე კარგად იყო გაცნობიერებული უკვე მისი საქმის უშუალო გამგრძელებლების მიერ: რომ მას ხელენიფებოდა ორიგინალის ტექსტისათვის კლებაც და შემატებაც. გამომდინარე იქიდან, რომ ტექსტისადმი მისი ეს მიღებომა სულინმიდის მადლს მიწერებოდა, მის ნაშრომს პატივს მიაგებდნენ, მაგრამ მიპაძვას დაუშვებლად თვლიდნენ. ამიტომაც ექვთიმეს მიერ გადმოღებული თხზულებები ხშირად ხელმეორედ ითარგმნებოდა დედნის ტექსტის მაქსიმალურად სიტყვასიტყვით გადმოცემის მიზნით. ექვთიმეს შრომებს მეცნიერებაში დინამიური ეკვივალენტის ტიპის თარგმანებად განსაზღვრავენ, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება მათ ეწოდოთ თარგმანი (ინტერლინგვური თარგმანი) ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ჟან-მარი ოვერ

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი

**ტობის წიგნის ნარევი ვერსია
ბერძნულ საბურველში**

ტობის წიგნის სემიტურ ენაზე (ებრაულად, ანუ უფრო სავარაუდებელია, არამეულად) შეიქმნა, თუმცა ეს სემიტური დედანი დღესდღეობით დაკარგულია (მხოლოდ რამდენიმე არამეული და ერთი ებრაული ფრაგმენტი აღმოჩნდა ყუმრანში). ბერძნულად წიგნის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: მოკლე ტექსტი (Greek I), რომელიც წარმოდგენილია წყაროთა უმეტესობაში და ვრცელი ტექსტი (Greek II), რომელიც შემონახულია თითქმის სრულად სინაიტიკუსში (აქვს რამდენიმე მცირე ზომის ლაპუნა და დაკლებული ტექსტი, ჯამში 16 მუხლის ოდენობით) და ნაწილობრივ (3:6–6:16) ერთ მინუსკულურ ხელნაწერში (319). მესამე ვერსია (Greek III) მე-14 საუკუნის ორ ხელნაწერშია (106, 107) დაცული, თუმცა არასრულად. შემორჩენილი ტექსტი (6:9–12:22) წიგნის სრული მოცულობის ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენს. ეს შუალედური ვერსია ასევე ნაწილობრივ შემონახულია სირიულ პეშიტაში (7:11–12:22 და მე-14 თ.) და სრულადაა წარმოდგენილი ქართულში.

მოხსენების მიზანია ამ ვერსიის ბერძნულად შემორჩენილი ნაწილის თავისებურებათა აღწერა დანარჩენ ორ ბერძნულ ვერსიასთან შეპირისპირების გზით. როგორც ჩანს, მესამე ბერძნული ტექსტუალური ტიპი დანარჩენი ორის შეჯერებითაა მიღებული. ასევე ვაჩვენებთ, თუ რა გრძელი გზა განვლო ამ შუალედურმა ვერსიამ, სანამ ლათინურად ითარგმნებოდა.

ანდრეს პიკერ ოტერო

კომპლუტერზას უნივერსიტეტი, მადრიდი

**შემოქმედებითი ფილოლოგია და გლოსები.
მეფეთა წიგნების მეორნული ვერსიები და
ლექსიკური აკუმლაცია ან მუტაცია**

სეპტემბერინტადან შესრულებული თარგმანები ზოგჯერ დედანზე უფრო ვრცელ ტექსტებს ნარმოგვიდგენენ, რომელთაც ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წყაროებში ზუსტი ეკვივალენტები არ ეძებნებათ. ეს თარგმანები ხშირად ისეთ პროცესებსა და ელემენტებს გვიჩვენებენ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ისინი განსხვავებული დედნიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ მთარგმნელთა და გადამწერთა შემოქმედების ნაყოფი არიან. ასეთი შემთხვევების უმეტესობას ნარმოადგენს ლექსიკური ვარიაციები ან ისეთი მატებები, როგორიცაა გლოსები ან ორმაგ იკითხვისთა სხვა ფორმები. ზოგიერთი მათგანი ტექსტის დინამიკის მაჩვენებელია, მაგალითად, კონტექსტის ცხადყოფას ემსახურება, ზოგჯერ კი ორმაგი ტექსტების (დუბლეტების) მიზანმიმართულ შექმნაზე მიუთითებენ, როდესაც ვარიანტი სხვა წყაროდანაა დამატებული. ეს პროცესები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექსტოლოგისათვის, არამედ ისტორიკოსთათვისაც, რომლებიც ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის კულტურულ ასპექტებს სწავლობენ. მათი მეშვეობით ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისათვის ცოდნის გადაცემასაც მივადევნებთ თვალს.

მოხესებაში შევეცდებით ნარმოვადგინოთ ამგვარი იკითხვისების სავარაუდო ტიპები. მათ ნარმოქმნას, შესაძლოა, თეოლოგიური შეხედულებებიც ედოს საფუძვლად,

მაგრამ, ყველაზე მეტად, პროტობიბლიური ფილოლოგის მიდგომების მრავალფეროვნება უნდა განაპირობებდეს, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და კავკასიის მწიგნობრული და ტექსტუალური ტრადიციისთვისაა დამახასიათებელი.

ამნერის როსელი

„ორიენტაციე“, ნეაპოლის უნივერსიტეტი

გალენი – ტექსტოლოგი

ცოტა ხნის წინ გამოვლინდა გალენის მოკლე ტრაქტატი მწუხარების თავიდან აცილების შესახებ (*Peri alupias*), რომელიც მან 193 წელს დაწერა, როცა უკვე ხანში შესული (60-ს გადაცილებული) იყო. ამ ტრაქტატში იგი საუბრობს თავის ადრინდელ ნაშრომებზე, რომლებიც მის დროს რომის ბიბლიოთეკებში არსებულ ჰომეროსის, არისტოტელესა და ოეოფრასტეს ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ტექსტებს შეეხება. ის წერს, რომ რომში გატარებული უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მან გადაწერა ტექსტები, დაურთო დიაკრიტიკული ნიშნები პირადი *ekdosis*-თვის, გამოიკვლია ბიბლიოთეკათა პინაკები და დაწერა მის მიერ აღმოჩენილი ზოგიერთი ტექსტის ავთენტურობაზეც. ამრიგად, გალენი წარმოაჩენს თავის თავს როგორც გრამატიკოსი, რომელიც საკუთარი ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე ზრუნავს და თავისი თავისთვის მუშაობს.

მაგრამ, ჩვენი ცოდნა გალენის ფილოლოგიური საქმიანობის შესახებ ძირითადად ჰიპოკრატეს თხზულებათა გალენისეულ კომენტარებს ემყარება, რომლებიც სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენენ მას. ამ შემთხვევაში გალენი სულაც არ მუშაობს თავისი თავისათვის, მისი საქმიანობის მიზანია მეგობრებსა და მედიცინით დაინტერესებულ სტუდენტებს აუხსნას ჰიპოკრატეს „ყველაზე ჭეშმარიტი“ ნაწერების სამედიცინო შინაარსი და ღირებულება. საკუთარი განმარტების შესამუშავებლად გალენი იყენებს არა მხო-

